


ფენტანილი



დასახელება: ფენტანილი

ალგერნატიული დასახელებები: ***ჩინური თეთრი, სუბლიმაში, აქტივი, შაქარყინული (ლოლიპოპი), დემეროლი.

ძირითადი ეფექტები ადამიანის ორგანიზმზე: დეპრესანტი

ქიმიური ფორმულა: *N*-(1-phenethyl-4-piperidyl)propionanilide

მოსმარების გზები: მიღება შესაძლებელია გადაყლაპვის, შეყნოსვის, ენაზე დასაკრავი მარკის, კანზე დასაკრავი პლასტიკის ან ინექციის გზით.

ფენტანილი (სინთეზური ოპიოიდი), რომელიც 1968 წელს შეიმუშავეს, ყველაზე ძლიერი ოპიოიდი. ფენტანილი 50-100-ჯერ უფრო ძლიერი მოქმედებისაა, ვიდრე იმავე მასის მორფინი (წონითი თანაფარდობით).

ფენტანილის (ალფა, 3-მეთილ) ქუჩური ვერსია, რომელიც უკანონო ლაბორატორიებში მზადდება, უკიდურესად ძლიერი პრეპარატია, ხშირად მის მიერ იმიტირებულ ნარკოტიკებზე მეტადაც. მეძლიერ ქუჩის ფენტანილს, რომელიც ჩვეულებრივი სიძლიერის მქონე ჰეროინის სახით იყიდებოდა, ბედობირებით სიკვდილის უამრავი შემთხვევა უკავშირდება. მექსიკის ფენტანილის ქარხანასთან დაკავშირებულია შემთხვევა, როცა მიყობებით 1000-ზე მეტი წამალდამოკიდებული გარდაიცვალა. ეს ამ ნარკოტიკის ერთი კონკრეტული პარტიის გაყიდვის შედეგი იყო. ფენტანილს ასევე უკავშირდება “ოპიოიდური ბედობირების ეპიდემია”, რომელიც აშშ-ში 2017 წელს ეროვნული მასშტაბის საზოგადოებრივი ჯანდაცვის განსაკუთრებულ სიტუაციად (public health emergency)

გამოცხადდა. 2017 წელს აშშ-ში ნარკოტიკების ღირებულების გადაჭარბებით 72,000 ადამიანი გარდაიცვალა; მათგან ფენტანილი 2/3 შემთხვევაში ფიგურირებდა.

ეფექტები

როგორც შერონი, მორფინი და სხვა ოპიოიდური ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებები, ფენტანილიც მოქმედებს ოპიოიდურ რეცეპტორებზე, რომლებიც განლაგებულია ტკივილისა და ემოციების მაკონტროლებელ ტვინის უბანში. ფენტანილის ეფექტები მსგავსია შერონის ეფექტების:

ფსიქოლოგიური ეფექტები:

- რელაქსაციის და ეიფორიის განცდა;
- შემცირებული ტკივილის შეგრძობა;
- სიმშვიდე;
- ძილიანობა;
- დაბნეულობა;
- ჰალუცინაციები;
- არასტაბილური განწყობა;
- დაქვეითებული ლიბიდო;
- ბუტბუტი.

ფიზიკური ეფექტები:

- შევიწროებული თვალის გუგები;
- მადის დაქვეითება;
- თავის ტკივილი;
- შენელებული პულსი;
- გულისრევა;
- გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს მენსტრუალურ პრობლემებს;
- შეკრულობა ან დიარეა;
- სუნთქვის დათრგუნვა;
- ზოგჯერ შესაძლოა გამოიწვიოს გონების დაკარგვა და კომა.

ეფექტური დოზა: ინექციურად მოხმარების შემთხვევაში მცირე ოდენობაა 12,5 მკგ., ყველაზე გავრცელებული დოზაა 25-50 მკგ., ძლიერი ეფექტების გამოწვევი ოდენობაა 50-100 მკგ., 100 + მკგ. კი ძალიან ძლიერი დოზაა. ინექციურად მოხმარების დროს ეფექტები დგება მყისიერად, აღწევს პიკს 2 წთ-ში და გრძელდება 10-20 წთ.

დამოკიდებულების პოტენციალი: ფენგანილს ძალიან მაღალი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულების პოტენციალი აქვს.

რისკი

- ოპიოიდების მაღალ დოზას, განსაკუთრებით ფენგანილს, შეუძლია გამოიწვიოს სუნთქვის შეჩერება და სიკვდილი;
- ფენგანილის მაღალი დოზა ზრდის ზელოზირების რისკს, განსაკუთრებით მათში ვინც არ იცის, რომ იღებს ისეთ აბს ან ფხვნილს, რომელიც შეიცავს ფენგანილს;
- ქუჩაში გაყიდული ფენგანილი შეიძლება იყოს შერეული ჰეროინთან ან კოკაინთან, რომელიც ძალიან სახიფათოა;
- ოპიოიდური ჯგუფის ნარკოტიკებთან დაკავშირებული ზელოზირების თითქმის ნახევარი გამოწვეულია ფენგანილით;
- ფენგანილის მცირე რაოდენობაც შესაძლოა აღმოჩნდეს სასიკვდილო;
- ჯანდაცვის სერვისებში არსებული რუგინული ნარკოტიკები ვერ ახდენს მის აღმოჩენას.

რისკის შემცირება

- არ მოიხმარო ფენგანილი სხვა დეპრესანტებთან, ალკოჰოლთან ან ბენზოდიამპინებთან კომბინაციაში;
- არ მოიხმარო მაღალი დოზა, რომელსაც შენი ორგანიზმი არ არის შეჩვეული;
- მოხმარებამდე შეამოწმე ნარკოტიკული საშუალების ხარისხი;
- ეცადე გაარჩიო სუფთა ან სხვა ნარკოტიკთან შერეული ნაერთი;
- ერიდეთ ფენგალინის მარტო მოხმარებას;
- დარწმუნდი, რომ გარშემო მყოფმა ადამიანებმა იციან, როგორ მოიქცნენ ზელოზირების დროს.

ჰეროინის და ფენგანილის შერეული ნაერთის იდენტიფიცირება:

- ჰეროინი არის ღია ყავისფერი ფხვნილი
- რაც უფრო ღიაა ფხვნილი, უფრო მოსალოდნელია, რომ მასში შერეული იქნება ფენგანილი. ფენგანილის და ჰეროინის ნარევი ხშირად არის კარამელის ფერი, ნახევრად გამჭვირვალე ყვითელი ან ღია ყავისფერი ხსნარი.
- სცადე, გასინჯო ფხვნილი თითოთ. ფენგანილს ტკბილი გემო აქვს, ჰეროინს ცხარე.

ზელოზირების შემთხვევის მართვა

ინგოქსიკაციის/ზელოზირების ნიშნები:

- მკვეთრად შევიწროებული თვალის გუგები
- სუნთქვა - ნელი (10-ჯერ წუთში ან ნაკლები) და ზედაპირული, ან სუნთქვის გაჩერება

- პულსი – ნელი გულისცემა (40-ჯერ წუთში ან ნაკლები), ან გულის გაჩერება
- მკრთალი და წებოვანი კანი
- გალურჯებული ტუჩები და ფრჩხილები
- ძლიერი ძილიანობა
- გულისრევა და ლებინება
- გონების დაკარგვა – ადამიანი არ რეაგირებს ხმამაღალ მიმართვაზე

თუ გაქვს ნალოქსონი:

- ზედოზირებისას გამოიყენე ნალოქსონი (ნარკანი) – შეიყვანე 1-2 მლ. ხსნარი კუნთებში, ღუნდულებში, მხარში ან ბარძაყში, გარეთა ზედა კვადრანტი. შესაძლოა საჭირო გახდეს ნალოქსონის განმეორებითი დოზის შეყვანა.

თუ არ გაქვს ნალოქსონი:

- გამოიძახე სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- გააღე ბინის კარი (თუ სასწრაფოს მოსვლამდე კარგავ გონებას, ხოლო კარი აღმოჩნდება დაკეტილი, ექიმები უბრალოდ ვერ შევლენ ბინაში);
- შეეცადე არ დაიძინო – იმოძრავე, ისაუბრე ხმამაღლა და ა.შ.

თუ ზედოზირება შეემთხვა სხვას:

- გაარკვიე, არის თუ არა გონზე ადამიანი
- გაათავისუფლე დაზარალებული ვიწრო ტანსაცმლისგან
- არ მისცე დაძინების საშუალება – ხმამაღლა ელაპარაკე, გაულაწუნე ლოყაზე, უჩქმიტე ყურის ბიბილოზე.
- თუ ამის შედეგად ადამიანი გონზე მოვიდა, აიძულე დადგეს ფეხზე, იმოძრაოს – არ მისცე დაძინების საშუალება!
- გამოიძახე სასწრაფო დახმარება ან ითხოვე, რომ ეს დაუყოვნებლივ გააკეთონ მემობლებმა ან გამგელებმა!
- თუ თან გაქვს ნალოქსონი – შეიყვანე 1-2 მლ. ხსნარი კუნთებში (ღუნდულებში, მხარში ან ბარძაყში, გარეთა ზედა კვადრანტი)

წყარო: „ალტერნატივა ჯორჯია“.